ნაირა ვირსალაძე
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ციცინო დავითულიანი
გეოგრაფიის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ეკონომიკური კრიზისი სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოში

სტატიის სამ იტალიერენოვანია

პოსტსაბჭოთა პერიოდიდან კავკასია მუდმივად ექცევა ყურადღების ცენტრში. ბოლო ორი ათეული წელია თითქმის ყოველ წელს ამ რეგიონში დაძაბულობის ახალი ტალღა წარმოიქმნება. ეს კონფლიქტები რასაკვირველია არ ეხება მთელ რეგიონს, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით შავ და კასპიის ზღვებს შორის დაახლოებით 1100კმ-ზეა გადაჭიმული და მოიცავს ოთხ სახელმწიფოს: ჩრდილოეთით – რუსეთის სამხრეთ ნაწილს, სამხრეთით კი საქართველოს, სომხეთსა და აზეირბაიჯანს. 1991 წელს საბჭოთა კავშირის ნგრევამ ბევრი წყლული გააღიზიანა, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმი ჩქმალავდა. რეგიონი ხელახლა იქცა გეოსტრატეგიული ინტერესების სარბიელად, ნათლად გამოჩნდა ამერიკის სწრაფვა, კონკურენცია გაუწიოს მოსკოვს იმ სტრატეგიულ ღერძის გაკონტროლებაში, რომელიც იძლევა დაკავშირების საშუალებას მსოფლიოს ყველაზე მგრძნობიარე რეგიონებთან, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთთან ან ჩინეთის სინძიანთან. აღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია ჩვენი ინტერესი შეგვესწავლა ცვლილებები აღნიშნული რეგიონის ეკონომიკაში და მისი განვითარების პერსპექტივები.

სამხრეთ კავკასია სამი საბჭოთა რესპუბლიკის მემკვიდრე სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთსა და აზეირბაიჯანს მოიცავს, რომელთაც საბჭოთა პერიოდში „ზაკავკაზიეს" უწოდებდნენ. 1991 წლიდან მკვლევარებისა და პოლიტიკური ლიდერების წინადადებით ეს სახელი „სამხრეთ კავკასიით" შეიცვალა. ჩვენც ასე ვუწოდებთ მას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მომხდარი გარდაქმნების ძირითადი ნიშანი იყო დეინდუსტრიალიზაცია, რომელმაც მოიცვა, როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კავკასია. ერთი მხრივ ეს არის ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე, ელემენტარული საბაზრო წესებთან შეუთავსებელი, განვითარების ლოგიკური შედეგი. მეორე მხრივ, ნედლეულით მომარაგების შეფერხებამ ან შეწყვეტამ და საბაზრო ეკონომიკის კანონების არცოდნამ, მაშინ როცა ბაზარი იხსნებოდა უცხოური კონკურენციისათვის, დიდი ქარხნების უმრავლესობა გააკოტრა, რასაც ხელი შეუწყო კვალიფიციური მუშახელის გადინებამაც, რომლის დიდი ნაწილი ეთნიკურად რუსი იყო. პროდუქცია, რომელსაც ადგილობრივი საწარმოები მოძველებული ტექნოლოგიით უშვებდნენ, კონკურენციას ვერ უწევდა იმპორტირებულ საქონელს.

შენარჩუნებული იქნა მხოლოდ რამდენიმე სფერო. მაგ., აზეირბაიჯანში ნავთობისა და გაზის მოპოვება, რომელმაც წარმოქმნა სხვადასხვა მხარეს მიმართული ეკონომიკური კავშირების მთელი ჯაჭვი, მათ შორის საქართველოში, როგორც სატრანზიტო ქვეყნაში, ასევე გადარჩა ზოგიერთი ფერადი ლითონის (სპილენძის, ოქროს და სხვა) მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო. „თამაშიდან" გასვლა მოუხდა კვების მრეწველობის და მანქანათმშენებლობის ბევრ საწამოს. სიტუაციას ართულებს ის, რომ პირდაპირ საგარეო ინვესტიციებს ხელს უშლის გადაუწყვეტელი შიდა კონფლიქტები და ეკონომიკური საქმიანობისათვის არაგამჭირვალე გარემო.

ეროვნული ეკონომიკის შექმნის თითქმის ერთგვაროვანი ტენდენციები ვლინდება სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში. ძირითადი დარგების – სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წილი საბჭოთა პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა, მათ შორის აზეირბაიჯანშიც კი, სადაც ნავთობ-გაზის სექტორის მნიშვნელობის გამო მრეწველობის საკმაო ნაწილი შენარჩუნდა. გარდა ზემოთ ხსენებული დეინდუსტრიალიზაციის თვალსაჩინო მაგალითი იყო სოფლის მეურნეობის დეგრადაცია, რაც უკავშირდება როგორც რუსული ბაზრის დაკარგვას, ისე წვრილგლეხური მეურნეობების მიბრუნებას ნატურალურ მეურნეობასთან.

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ეკონომიკაში გაიზარდა მშენებლობის, ასევე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორების წილი. ეს დარგები მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ცვლილებას განიცდიან, ისინი სარგებლობენ უცხოური ინვესტიციებით და კრედიტებით, რაც ვლინდება ტელეკომუნიკაციების, მათ შორის სატელეფონო ქსელების პრივატიზაციაში. მეორე მხრივ, ეს არის ტრასეკას (ევროკავშირის პროგრამა, რომლის მიზანია შავი და კასპიის ზღვების სატრანსპორტო დერეფნის განვითარება) ამოქმედება და ახალი მილსადენების მშენებლობაში. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის საბჭოთა შეზღუდვების გაუქმებამ გაათავისუფლა ეს სფერო და მოსახლეობის შემოსავლების საკმაო ნაწილი საცხოვრებელი პირობების განახლებას ხმარდება.

ნახ. 1

მშპ დარგობრივი სტრუქტურა (%-ში)



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები

ყველაზე თვალშისაცემი ასპექტია მომსახურების სფეროს ძალიან სწრაფი განვითარება, რომელიც, ისევე, როგორც რუსეთის ბევრ სხვა რეგიონში, ხშირად გვევლინება ეროვნული ეკონომიკის წამყვან სექტორად. საქმე გვაქვს ბუნებრივი კომპენსაციის ეფექტთან, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ასეთ საქმიანობას საბჭოთა გეგმური ეკონომიკა ფაქტობრივად უგულვებელყოფდა. საბჭოთა სისტემის შესუსტებისთანავე, უკვე 1980-იანი წების ბოლოს გაჩნდა უამრავი პატარა მაღაზია და რესტორანი, აფთიაქები, როგორც მთავარ ქალაქებში, ისე გზის პირას, პატარა ქალაქებსა და სოფლებშც კი. სამივე დედაქალაქში მომსახურების სფერო იზრდება საბანკო, სადაზღვევო და საფინანსო სფეროს სხვა დარგების ხარჯზე; ფართოვდება მესამეული სექტორი, რაც თან მოჰყვა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და რეფორმების განხორციელებას. მაგრამ ეს ზრდა ხშირად არის საწარმოო სექტორის დაშლის მექანიკური შედეგიც. დასავლეთის ქვეყნების დახმარების პროგრამები მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების როლის გაძლიერებას, რაც უმნიშვნელოვანესი ელემენტია მრეწველობის სტიმულირებისა და დივერსიფიკაციისათვის რეგიონში, სადაც არსებობს ბევრი დარგის (მაგ., კვების მრეწველობის და სხვ.) განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები.

ნახ. **2**

ეროვნული შემოსავალი ერთ მცხოვრებზე (აშშ დოლარებში)



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები

არათანაბრად იცვლებოდა ეროვნული შემოსავალი ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში. 1991 წლისათვის ეს მონაცემები ყველაზე დაბალი იყო სომხეთში 2800$ და საქართველოში – 3800$, ხოლო ამ მხრივ ლიდერობდა აზეირბაიჯანი 3900$.

სამივე სახელმწიფოსათვის ეროვნული შემოსავალის ნიშნულმა ყველაზე დაბალ მაჩვენებელს 1995 წელს მიაღწია: საქართველოში–1100$ სომხეთში–1200$, ხოლო აზეირბაიჯანში–1900$.

1991 წლის დონეს კი სომხეთმა 2001 წელს მიაღწია, აზეირბაიჯანმა 2004 წელს, ყველაზე

გვიან კი საქართველომ 2006 წელს. აღნიშნული წლებიდან მოყოლებული სამივე ქვეყნაში ეს მაჩვენებელი იზრდება და დღეს ის ყველაზე დაბალია საქართველოში 4800$, სომხეთში 4900$ და ყველაზე მაღალი კვლავ აზეირბაიჯანშია 6500$.

1990-იანი წლებიდან დაწყებული დეინდუსტრიალიზაციის პროცესი საყოველთაოა. რეგიონის მთავარ ცენტრებში, ბევრი წამყვანი საწარმო დაიხურა, მათ შორის: თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ერევნის საავტომობილო ქარხანა, ფერადი მეტალურგიის საწარმოები, ბაქო-სუმგაითის ქიმიური საწარმოები. რუსეთის პარტნიორებთან გაწყვეტილმა კავშირებმა მსოფლიო ბაზარზე, ტექნიკური მომარაგების შეწყვეტამ დაანგრია საბჭოეთის პერიოდის წარმოება, რომელსაც შეეძლო ფუნქციონირება მხოლოდ „ ზემოდან დაშვებული" გეგმებით და ჩაკეტილი საზღვრების პირობებში. ამას დაემატა ისიც, რომ ბევრი საბადო (ფერადი ლითონების საბადო ჩრდილო ოსეთში, რკინის მადნის აზეირბაიჯანში და ა.შ.) ამოიწურა, ანდა არაკონკურენტუნარიანი გახდა მსოფლიო ბაზარზე. თურქულ, ინდურ თუ ჩინურ მასობრივ პროდუქციასთან კონკურენციის გამო დაიხურა აგრო-სამრეწველო პროფილის, ტყავ-ფეხსაცმლისა თუ საფეიქრო საარმოთა უმრავლესობა, რომლებიც ისედაც მოძველებული დანადგარებით იყო აღჭურვილი და რომელთა უხარისხო პროდუქცია, მხოლოდ დახურულ საბჭოთა ბაზარზე იყიდებოდა. მთელი რიგი ქალაქები, როგორიცაა სამთო-მოპოვებითი ცენტრები თირნიაუზი და ტყიბული, საბჭოთა „ახალი" ქალაქები რუსთავი და სუმგაითი ქალაქ-მოჩვენებებად იქცა, საიდანაც წავიდა შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით მამაკაცები.

მთავრობები ცდილობენ დიდი ხნის განმავლობაში სტრატეგიულად მიჩნეული საწარმოების ხელახლა ამუშავებას – კერძოდ, შავი მეტალურგიისა – საქართველოში, ალუმინის მრეწველობისა–აზეირბაიჯანსა და სომხეთში, მაგრამ ჯერ კიდევ არსებული კორუფცია და შიდა კონფლიქტები, ამ მცდელობებს წარუმატებელს ხდის. 1990-იანი წლებიდან მხოლოდ ინფრასტრუქტურული დარგების ნაწილი გახდა რეალურად დინამიური (ელექტროენერგიის გენერაცია, ნავთობის მრეწველობა და მათთან დაკავშირებული დარგები).

XXI საუკუნის დასაწყისში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სადი აზრი გაიმარჯვებს და ამ ახალ „დიდ თამაშში" მონაწილე დიდი თუ პატარა ძალები საერთო ენას გამონახავენ, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რადვანი ჟან, ბერუჩაშვილი ნ., კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი. თბ. 2008
2. მსოფლიო ბანკის მონაცემები